<u>**პროექტი**</u>

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

„2003–2012 წლებში მოქმედი რეჟიმისა და რეჟიმის პოლიტიკური თანამდებობის პირების საქმიანობის შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2025 წლის 5 თებერვლის N240-IIმს-XIმპ დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 61-ე მუხლისა და 62-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. „2003–2012 წლებში მოქმედი რეჟიმისა და რეჟიმის პოლიტიკური თანამდებობის პირების საქმიანობის შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2025 წლის 5 თებერვლის N240-IIმს-XIმპ დადგენილებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2003–2012 წლებში მოქმედი რეჟიმის, ამ რეჟიმის პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და პოლიტიკურ პარტიებში გაერთიანებული მოქმედი და ყოფილი თანამდებობის პირების 2003 წლიდან დღემდე საქმიანობის შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ“;

ბ) პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ ინიციატივების (№07-3/23, 29.01.2025; N07-3/47, 26.03.2025) საფუძველზე შეიქმნას 2003–2012 წლებში მოქმედი რეჟიმის, ამ რეჟიმის პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და პოლიტიკურ პარტიებში გაერთიანებული მოქმედი და ყოფილი თანამდებობის პირების 2003 წლიდან დღემდე საქმიანობის შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისია.

2. საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის გამოსაკვლევ საკითხად განისაზღვროს 2003–2012 წლებში მოქმედი რეჟიმის, ამ რეჟიმის პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და პოლიტიკურ პარტიებში გაერთიანებული მოქმედი და ყოფილი თანამდებობის პირების 2003 წლიდან დღემდე საქმიანობა.“.

2. ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი

განმარტებითი ბარათი

„2003–2012 წლებში მოქმედი რეჟიმისა და რეჟიმის პოლიტიკური თანამდებობის პირების საქმიანობის შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2025 წლის N240-IIმს-XIმპ დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია დადგენილების პროექტის შესახებ:

ა.ა) დადგენილების პროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს დადგენილების პროექტი:

საქართველოს პარლამენტის 2025 წლის N240-IIმს-XIმპ დადგენილებით შექმნილი დროებითი საგამოძიებო კომისია შეისწავლის 2003–2012 წლებში მოქმედი რეჟიმსა და ამ რეჟიმის პოლიტიკური თანამდებობის პირების საქმიანობას. ამასთანავე, საგამოძიებო კომისიის სხდომების მიმდინარეობისას გამოიკვეთა, რომ 2003-2012 წლებში მოქმედი რეჟიმის, აგრეთვე პოლიტიკურ პარტიებში გაერთიანებული მოქმედი და ყოფილი პოლიტიკური თანამდებობის პირები დღემდე ღიად უპირისპირდებიან საქართველოს ეროვნულ ინტერესებს და გადამწყვეტ დაბრკოლებას უქმნიან საქართველოში ჯანსაღი პოლიტიკური სისტემის დამკვიდრებას.

პოლიტიკურ პარტიებში გაერთიანებული მოქმედი და ყოფილი პოლიტიკური თანამდებობის პირები, რომელთაც ჩადენილი ან სავარაუდოდ ჩადენილი აქვთ ადამიანის უფლებების მნიშვნელოვანი დარღვევები, ღიად უპირისპირდებიან საქართველოს ეროვნულ ინტერესებს და გადამწყვეტ დაბრკოლებას უქმნიან საქართველოში ჯანსაღი პოლიტიკური სისტემის დამკვიდრებას.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად დადგენილების მიღების აუცილებლობა :

იმისთვის, რომ კომისიის საქმიანობის სფერო არ იყოს შეზღუდული მხოლოდ 2012 წლამდე ჩადენილი ანტისახელმწიფოებრივი და დანაშაულებრივი ქმედებების გამოძიების ფარგლებით, მიზანშეწონილია აღნიშნული კომისიის მანდატი გაფართოვდეს და გავრცელდეს 2012 წლის შემგომ პერიოდზეც, პოლიტიკურ პარტიებში გაერთიანებული მოქმედი და ყოფილი პოლიტიკური თანამდებობის პირების 2003 წლიდან დღემდე საქმიანობაზეც.

ა.ბ) დადგენილების პროექტის მოსალოდნელი შედეგები:

დადგენილების მიხედვით, კომისია შეძლებს გამოიძიოს 2003-2012 წლებში მოქმედი რეჟიმის, ამ რეჟიმის პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და პოლიტიკურ პარტიებში გაერთიანებული მოქმედი და ყოფილი პოლიტიკური თანამდებობის პირების 2003 წლიდან დღემდე საქმიანობა და აღნიშნული გამოძიების შედეგები გაუზიაროს შესაბამისს ორგანოებს, რომლებიც საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მიიღებენ გადაწყვეტილებებს.

ა.გ) დადგენილების პროექტის ძირითადი არსი:

დადგენილების პროექტის მიხედვით, საქართველოს პარლამენტის 2025 წლის N240-IIმს-XIმპ დადგენილებაში შედის ცვლილება, რომლის მიხედვითაც, კომისია შეძლებს გამოიძიოს 2003-2012 წლებში მოქმედი რეჟიმის, ამ რეჟიმის პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და პოლიტიკურ პარტიებში გაერთიანებული მოქმედი და ყოფილი პოლიტიკური თანამდებობის პირების 2003 წლიდან დღემდე საქმიანობა.

ა.დ) დადგენილების პროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან, და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

აღნიშნული ქვეპუნქტი არ გამოიყენება წარმოდგენილი დადგენილების პროექტთან მიმართებაში.

ა.ე) დადგენილების პროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო დადგენილებისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში, აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

დადგენილების მიღებისთანავე ძალაში შესვლა ხელს შეუწყობს არსებული პრობლემების აღმოფხვრის დაჩქარების ხელშეწყობას, ამასთანავე, დადგენილების პროექტი არ ითვალისწინებს უკუძალის მინიჭებას.

ა.ვ) დადგენილების პროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს დადგენილების პროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

დაჩქარებული წესით განხილვა არ არის მოთხოვნილი.

ბ) დადგენილების პროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (დადგენილები პროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) დადგენილების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

დადგენილების დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო არის სახელმწიფო ბიუჯეტი (პარლამენტის ასიგნებები).

ბ.ბ) დადგენილების პროექტის გავლენა სახელმწიფო , ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

დადგენილებას არ ექნება გავლენა სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) დადგენილების პროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

დადგენილება ითვალისწინებს საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 71-ე მუხლს, რომელიც ასახავს დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის საბიუჯეტო გავლენას,

დროებითი საგამოძიებო კომისიის მიერ საქმიანობის პერიოდში გაწეული ხარჯები ანაზღაურდება პარლამენტის ბიუჯეტიდან. დროებითი საგამოძიებო კომისიის ხარჯების ოდენობის თაობაზე პარლამენტის ხაზინადართა საბჭოს გადაწყვეტილებას პარლამენტის თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს პარლამენტის ბიურო.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები , დადგენილების პროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით :

ასეთი არ არსებობს.

ბ.ე) დადგენილების პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება დადგენილების პროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია დადგენილების პროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

დადგენილების მოსალოდნელი ფინანსური შედეგები კომისიის მოქმედების პერიოდში შესაძლებელია უკავშირდებოდეს იმ პირებზე გავლენას, რომელთა საქმიანობაც პირდაპირ უზრუნველყოფს კომისიის ფუნქციონირებას.

ბ.ვ) დადგენილების პროექტით დადგენილი გადასახადის , მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

დადგენილებით არ დგინდება გადასახადი, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი.

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე დადგენილების პროექტის გავლენის შეფასება;

დადგენილება არ იქონიებს გავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

ბ[2]) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე დადგენილების მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:

დადგენილების ინიციატორის მოსაზრებით, დადგენილების მიღებით გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე ზეგავლენის მოხდენა მოსალოდნელი არ არის.

გ) დადგენილების პროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან
გ.ა) დადგენილების პროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან :

დადგენილება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) დადგენილების პროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

დადგენილების პროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) დადგენილების პროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება დადგენილების პროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

დადგენილების პროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) დადგენილების პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები :

დ.ა) სახელმწიფო , არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია /დაწესებულება , ექსპერტები , რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს დადგენილების პროექტის შემუშავებაში , ასეთის არსებობის შემთხვევაში :

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) დადგენილების პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება დადგენილების პროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება დადგენილების პროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული დადგენილების პროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი მიმოხილვა არ მომზადებულა.

ე) დადგენილების პროექტის ავტორი:

ფრაქცია „ქართული ოცნების“ აპარატი

ვ) დადგენილების პროექტის ინიციატორი :

დადგენილების პროექტის ინიციატორია ფრაქცია „ქართული ოცნება“